განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2025 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2025 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.
2025 წლის ბიუჯეტი დაგეგმილია შემდეგი მაკროეკონომიკური პარამეტრების მიხედვით:
- რეალური ეკონომიკური ზრდა დაგეგმილია 6,0 %-ის ოდენობით, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5,2 %-ს შეადგენს;
- მშპ-ის დეფლატორის პროგნოზი 3%-ს შეადგენს და იგივ მაჩვენებელი შენარჩუნებულია მომდევნო წლებშიც;
- საშუალო ინფლაციის პროგნოზი მიმდინარე წელს მიზნობრივ მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად ნაკლებია და 1%-ს შეადგენს, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში მიზნობრივი მაჩვენებლის ფარგლებშია (3%);

წარმოდგენილი პროექტით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით, პირველად წარმოდგენილ ვარიანტთან შედარებით გაზრდილია

შემოსულობების ნაწილში 1 176,7 ათასი ლარით და 18 292,2 ათასი ლარის ნაცვლად შეადგენს 19 468,9 ათას ლარს. შემოსულობების ზრდის წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტის მესამე წარდგენის შედეგად გადამუშავებული ფისკალური პროგნოზების შესაბამისად გაზრდილი პარამეტრები, რომლის მიხედვითაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საგადასახადო შემოსავლები გაიზარდა 1176,7 ათასი ლარით, მათ შორის დამატებითი ღირებულების გადასახადი 776,7 ათასი ლარით და ქონების გადასახადი 400,0 თასი ლარით.

ასევე პირველად წარმოდგენილ ვარიანტთან შედარებით საკრებულოს მიერ გამოგზავნილი რეკომენდაციებისა და მერიის ინიციატივით 2025 წლის ბიუჯეტი (საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით) ხარჯვით ნაწილში გაზრდილია 692,0 ათასი ლარით და განისაზღვრა 19 984,2 ათასი ლარით. ხარჯები იზრდება ძირითადად ინფრასტრუქტურის და სოციალური პროგრამების ნაწილში.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155[1] მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პარამეტრები

2024 წლის 03 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გადამუშავებული ფისკალური პროგნოზების შესაბამისად გადმოსცა ახალი პარამეტრები, რომლის მიხედვითაც იზრდება 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 1 176,7 ათასი ლარით.(პირვანდელ ვარიანტთან შედარებით)

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6[1]-ე პუნქტების გათვალისწინებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული პარამეტრების შესაბამისად, 2025 წლის პროგნოზით ხარაგაულის მუნიციპალიტეტი სათვის ნომინალურ გამოხატულებაში შეადგენს 17 208,9 ათას ლარს. (დან. N.12)
აღსანიშნავია, რომ 2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2025 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 5 950,0 ათასი ლარით (25.1 %-ით). (2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გადასახადების გეგმა შეადგენდა 11258,6 ათას ლარს, ხოლო დაზუსტებული ბიუჯეტით განისაზღვრება 13 758,6 ათას ლარით)

2025 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 11 008.9 ათასი ლარით; *2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (9 358,6 ათასი ლარი) შედარებით დღგ გაზრდილია 17.6 %-ით (1 650.3 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;*

ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 6 200.0 ათას ლარს;

2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (4 400.0 ათასი ლარი) შედარებით ქონების გადასახადი მომავალ წელს იზრდება 1 800,0 ათასი ლარით 40,9 %-ით. აღნიშნული გადასახადის ძირითადი წილის გადამხდელი არის საქართველოს რკინიგზა. ასევე მსხვილ გადამხდელად კვლავ რჩება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი ავტობანის მშენებლობაზე დასაქმებული ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციისა და შპს ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფის საქართველოს ფილიალები.

2025 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

გრანტების სახით, მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, დაგეგმილი მაჩვენებლები სავარაუდოდ განისაზღვრება 298,4 ათასი ლარით. ამასთან ,,საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტში ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონნით განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის საჭირო თანხის გამოყოფა და გადარიცხვა მოხდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ. ხოლო არასრულწლოვანთა დახმარების დელეგირებული უფლებამოსილებისათვის და პერსონალური ასისტენტის მხარდამჭერი პროგრამისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან.

სხვა შემოსავლების სახით 2025 წელს იგეგმება 2 180,0 ლარის მიღება, აქედან
შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 275,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: პროცენტებიდან მისაღები შემოსავლები იგეგმება 150,0 ათასი ლარის ოდენობით, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის - 75,0 ათასი ლარი; შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 50,0 ათასი ლარი;

აღნიშნულ სახეში შემოსავალი 2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 105,0 ათასი ლარით იზრდება. ზრდა გამოწვეულია პროცენტებიდან მისაღები შემოსავლის ხარჯზე, რომელიც იზრდება 90,0 ათასი ლარით; მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან (უზურფრუქტი, ქირავნობა) მისაღები შემოსავალი 10,0 ათასი ლარით იზრდება, ხოლო ბუნებრივი რესურსებიდან მისაღები შემოსავლების 2025 წლის გეგმა 5,0 ათასი ლარით იზრდება.

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 100,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: სანებართვო მოსაკრებლები 5,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 95,0 ათასი ლარი;

შემოსავლების გაზრდა ამ სახეში გამოწვეულია დასუფთავების მოსაკრებლის ხარჯზე. 2024 წელს დაგეგმილი 90,0 ათასი ლარის ნაცვლად უკვე მიღებულია 107,4 ათასი ლარი;

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 1 805,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

შემოსავალი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო 1 800,0 ათასი ლარი; შემოსავალი სანქციებიდან არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო 5,0 ათასი ლარი; ჯარიმებიდან და სანქციებიდან მისაღები შემოსავლების გეგმა 2024 წლის ბიუჯეტით განისაზღვრება 1 276,7 ათასი ლარი და ფაქტიურად უკვე მიღებულია 2 233,5 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 80,0 ათ. ლარს; გეგმის შესრულება მიღწევადია, ვინაიდან მუნიციპალიტეტის მერიამ დაასრულა ძირითადი და არამწარმოებლური აქტივების შეფასების პროცესი და შეაძლებელია აღნიშნული ქონებების პრივატიზება.

სულ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობები (სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების გარეშე) შეადგენს 19 468,9 ათას ლარს და 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსულობებს აღემატება 6 213,6 ათასი ლარით და დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობებს 3 377,6 ათასი ლარით. (2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები იყო 13 255,3 ათასი ლარი; 2024 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის ბიუჯეტის შემოსავლები არის 16 091,3 ათასი ლარი) 2025 წლის შემოსავლების ყველა სახეში გეგმები არის გაზრდილი.

ამავდროულად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით კვლავ გრძელდება 2018 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ნაგავმზიდებისა და ნარჩენების კონტეინერების შესაძენად აღებული სესხის დაფარვა რომელიც დასრულდება მომდევნო 2026 წელს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა (საკუთარი სახსრებით) შეადგენს 19 984,2 ათას ლარს, 2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 5 234,1 ათასი ლარით და დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით გადასახდელები იზრდება 2 398,1 ათასი ლარით, (2024 წლის დამტკიცებული გადასახდელები შეადგენდა 14 750,1ათას ლარს და დაზუსტებული გადასახდელების გეგმა განისაზღვრება 17 586.1 ათასი ლარით, უნდა აღინიშნოს რომ მიმდინარე 2024 წლის დაზუსტებული გადასახდელების (მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით დაფინანსებული) გეგმა დამტკიცებულთან შედარებით გაზრდილია 2 836,0 ათასი ლარით.

2025 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები, მათ შორის თანამშრომელთა ხელფასების ზრდა კარიერული სქემის შესაბამისად. აღნიშნული გამომდინარეობს 2025 წლის სახლემწიფო ბიუჯეტის პროექტის გათვალისწინებით, რადგან 24-ე მუხლის 2-ე პუნქტით 2025 წელს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება 1 460 ლარის ოდენობით, ნაცვლად 1330 ლარისა. აქედან გამომდინარე საჯარო სექტორში,საბიუჯეტო ორგანიზაციებში, იგეგმება ხელფასების ზრდა. ასევე მუნიციპალიტეტის გაზრდილი შემოსავლების ფარგლებში შესაძლებელი ხდება საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ხელფასების ზრდა წინა წლების მსგავსად.
2025 წელში აუცილებლად ასაღები ვალდებულებების დასაფინანსებლად მუნიციპალიტეტი იყენებს შესაძლებლობას ბიუჯეტის დასაბალანსებლად გამოიყენოს 2025 წლის პირველი იანვრისათვის მოსალოდნელი საკუთარი სახსრების ნაშთიდან 515,3 ათასი ლარი, წინა 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების დროს წარმოქმნილი დეფიციტის შესავსებად გამოყენებული იყო 1 496,8 ათასი ლარი.

მომავალ 2025 წელს კვლავ გრძელდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით 2022 წელს დანერგილი სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც კვლავ განახორციელდება მოქალაქეების ჩართულობით შექმნილი და მოწონებული პროექტები, რომლებიც უკვე გათვალისწინებულია შესაბამის საბიუჯეტო პროგრამებში.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში გენდერული ასპექტების გათვალისწინებით განსაზღვრულია გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის შემუშავება, პროგრამების და ქვეპროგრამების დაგეგმარების და განხორციელების დროს ქალებისა და კაცების, გოგონებისა და ბიჭების საჭიროების გათვალისწინებით. ასევე ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში პრიორიტეტებისა და პროგრამების მიხედვით განსაზღვრულია კავშირი გაეროს მდგრადი განვითარების შესაბამის მიზნებთან.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტის ფინანსური დოკუმენტების შემუშავების დროს, 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტსა და 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის დანართში გათვალისწინებული არის გენდერული ასპექტები, გენდერული ანალიზის შედეგების საფუძველზე 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში აღნიშნული პროგრამების/ქვეპროგრამების მოდიფიცირება მოხდა. კერძოდ, შესაბამისი გენდერული პოლიტიკა და მიდგომები ასახულია პროგრამის აღწერისა და შედეგების ნაწილში, ამასთან პროგრამებს/ქვეპროგრამებს აქვთ გენდერული ინდიკატორები.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

1) **ინფრასტრუქტურის განვითარება - 2 312,4 ათასი ლარი,** პირველ წარმოდგენილ ვარიანტთან შედარებით ინფრასტრუქტურის პრიორიტეტი გაზრდილია 357,0 ათასი ლარით. ამასთან 2024 წლის დაგეგმილ მაჩვენებლებს (1090,2 ათასი ლარი) აღემატება 1 272,2 ათასი ლარით. 2024 წელს დაგეგმილი იყო 1 092,2 ათასი ლარი. შესაბამისად გაზრდილია პრიორიტეტში შემავალი ყველა პროგრამის დაფინანსება.

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 1 250,0 ათასი ლარი; *პირველ ვარიანტთან შედარებით გაზრდილია 100,0 ათასი ლარით, გზების მიმდინარე შეკეთების ხარჯების დასაფარავად.*

აღნიშნული პროგრამით გაგრძელდება გზების მოასფალტება-მობეტონებისა და ნაპირსამაგრების მოსაწყობი სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მოხდება თანადაფინანსება მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე, ასევე გაწეული იქნება საპროექტო და მონიტორინგის ხარჯები. გაგრძელდება შიდა გზების მოვლა-პტრონობა, ხიდების რეაბილიტაცია, ასევე გაგრძელდება და იზრდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფის მოცულობა, მოეწყობა ახალი საგზაო ნიშნები, განხორციელდება ვიდეო-სათვალთვალო კამერების შეძენა და მოვლა-პატრონობა.

წყლის სისტემების განვითარება - 230,0 ათასი ლარი; პირველ ვარიანთათან შედარებით 30,0 ათასი ლარით არის გაზრდილი და მიიმართება სასმელი წყლით უზრუნველყოფის პროგრამაში. აღნიშნული პროგრამით კვლავ გაგრძელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლით უზრუნველყოფისათვის საჭირო სამუშაოები, შესრულდება სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტები, ასევე გახშირებული სტიქიური მოვლენების გამო დაფინანსდება მდინარეებზე ნაპირსამაგრების მოწყობისა და სანიაღვრე სისტემების მოწესრიგების ხარჯები.

გარე განათება - 402,0 ათასი ლარი. პირველ ვარიანთან შედარებით გაზრდილია 100,0 ათასი ლარით და ძირითადად ქსელის გაფართოებაზე იქნება მიმართული.

ამ პროგრამით განხორციელდება მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა, ასევე უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული მუშაობა, ასევე საჭიროების შემთხვევაში მოხდება გარე განათების ქსელია გაფართოება.

მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია - 100,0 ათასი ლარი; რეკომენდაციების გათვალისწინებით გაიზარდა 40,0 აღთასი ლარით. თანადაფინანსების წესით განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციის საპროექტო და საზედამხედველო სამუშაოები.

კეთილმოწყობა 130,0 ათასი ლარი, გაიზარდა 50,0 ათასი ლარით პირველ წარმოდგენილ ვარიანტთან შედარებით. პროგრამის ფარგლებში მოხდება საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა და სამოქალაქო ბიუჯეტირების ფარგლებში დაფინანსდება გამარჯვებული პროექტები.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები - 200,4 ათასი ლარი; რეკომენდაციების გათვალისწინებით პირვანდელ წარმოდგენილთან შედარებით გაიზარდა 37,0 ათასი ლარით. აღნიშნული ხარჯები ძირითადად გათვალისწინებულია სოფლის მხარდამჭერი პროექტების თანადაფინანსებისათვის, ხოლო ნაწილი მოხმარდება სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში მოწყობილი ობიექტების ელექტროენერგიის წყაროზე დაერთებას.

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სოფლებში ადგილობრივი გზების მოასფალტება და ორმული შეკეთება, სასმელი წყლის სისტემის, საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია. სარწყავი არხების გაწმენდა, წისქვილების რეაბილიტაცია და სხვა. აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სოფლის მოსახლეობა.

2) დასუფთავება და გარემოს დაცვა პრიორიტეტი განისაზღვრა - 2 221,9 ათასი ლარი, პირველად წარმოდგენილთან შედარებით გაიზარდა 50,0 ათასი ლარით და რეკომნედაციის თანახმად მიიმართება ნაგვის კონტეინერების სესაძენ ხარჯებში. ამასთან, წინა 2024 წლის დაგეგმილ

მაჩვენებლებს აღემატება 312,0 ათასი ლარით. (2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით დასუფთავების პრიორიტეტი 1 859,9 ათას ლარით იყო განსაზღვრული) **მათ შორის:**

დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 1 941,4 ათასი ლარი

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაბისა და სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა.

მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 265,5 ათასი ლარი

მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა.

უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები - 15,0 ათასი ლარი, პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებსა და დაბაში მყოფი მიუსაფარი შინაური ცხოველების სპეციალურ დროებით თავშესაფარში გადაყვანა მათი მკურნალობის სტერილიზაციის და შემდგომი დამუშავების მიზნით.

3) განათლება - 3 524,9 ათასი ლარი, რაც 2024 წლის საგეგმო მაჩვენებლებს 710,8 ათასი ლარით აღემატება (2024 წელს განათლების პრიორიტეტში გათვალისწინებული კყო 2 814,1 ათასი ლარი) **მათ შორის:**

სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება -3 120,0 ათასი ლარი; 2024 წლის მაჩვენებლებთან შედარებით თანხები გაზრდილია 670,0 ათასი ლარით და ითვალისწინებს გაერთიანებაში მომუშავე თანამშრომლების სახელფასო გაზრდას.

სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია - 5,0 ათ. ლარი. (საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები.

ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პანსიონური მომსახურება) – 141,9 ათ, ლარი, პროგრამის განმხორციელებელი არის ბორის საჯარო სკოლა (ინტერნატი) და დაფინანსება ხმარდება ინტერნატში ღამის გამთევი მოსწავლეების ხარჯებს.

სკოლის გარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლეთა სახლი)- 258,0 ათ. ლარი

4) კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 2 998,1 ათასი ლარი, რეკომენდაციების გათვალისწინებით პრიორიტეტი გაიზარდა 80,0 ათასი ლარით, აქედან 50,0 ათასი ლარი მიიმართება სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის ხარჯებში, 10,0 ათასი გაიზარდა ახალგაზრდული პროგრამების და 20,0 ათასი ლარით რელიგიის ხარჯების დაფინასება. პრიორიტეტი 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯებს 777,7 ათასი ლარით აღემატება. (2024 წელს კულტურის და სპორტის პრიორიტეტზე 2 220,4 ათასი ლარი იყო დაგეგმილი) მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 1 070,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული ღონისძიებების დაფინანსება, ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, პროგრამა ითვალისწინებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა წახალისების ხარჯებს. სამოქალაქო ბიუჯეტირების ფარგლებში გაგრძელდება სპორტული მოედნების მოწყობა.

კულტურის სფეროს განვითარება - 1 713,1 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სამუსიკო სკოლის, ფოლკლორის ცენტრის, კულტურის, ხელოვნებისა და შიდა ტურიზმის ცენტრის, ასევე კულტურული ღონისძიებების დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა.

მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობა -105,0 ათასი ლარი, ამ პროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია ბეჭდური და სხვა საინფორმაციო საშუალებებით.

რელიგიის დაფინანსება 80,0 ათასი ლარი; ამ პროგრამით ხორციელდება მარგვეთისა და უბისის ეპარქიასთან თანამშრომლობა.

ახალგაზრდობის მხარდაჭერა - 30,0 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება, გრანტისმფლობელ კურსდამთავრებულთა წახალისება.

5) **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 3 049.2 ათასი ლარი,** 2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებთ აღნიშნულ პრიორიტეტზე მიმართული იქნება 978,1 ათასი ლარით მეტი. 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 1 971,1 ათასი ლარი.

მათ შორის:

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 288,9 ათასი ლარი;

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:· არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; · მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

სოციალური დაცვა - 2 760.3 ათასი ლარი, პირველად წარმოდგენილ ვარიანტთან შედარებით სოციალური დაცვის პროგრამა საკრებულოს რეკომენდაციებითა და მერიის ინიციატივით გაიზარდა 185,0 ათასი ლარით, ხოლო გასულ წელთან შედარებით სოციალურ დაცვაზე 949,6 ათასი ლარით მეტია დაგეგმილი. აღნიშნული პროგრამა არის მზარდი, რომელიც 2025 წლის განმავლობაში კვლავ მოიმატებს, მათ შორის სარეზერვო ფონდის ხარჯზე. 2024 წლის სოციალური პროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი 1 705,7 ათას ლარს შეადგენდა.

2025 წელს გათვალისწინებულია შემდეგი სოციალური პროგრამები:

სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა -500, 0 ათ. ლარი,

შშმ პირთა დახმარების პროგრამა -90,0 ათ, ლარი,

ერთჯერადი ფინანსური დახმარება - 1000,0 ათ, ლარ.

ლეიკემიით დაავად. და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება- 43,0 ათ, ლარი

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა- 45,0 ათ, ლარი

მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა - 24,0 ათ, ლარი,

მარჩენალდაკარგულთა დახმარება - 60,0 ათასი ლარი;

ყოველთვიური დახმარების პროგრამა- 80.0 ათ, ლარი.

საქართველოს ტერიტ.მთლ. ომში დაღუპულთა დახმ. პროგრამა-9,0 ათ, ლარი

ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა- 4,0 ათ, ლარი,

სადღესასწაულო დღეების დახმარება - 100,0 ათ, ლარი

სოც. დაუცველ და უპატრონო მიცვალ. სარიტ. მომსახ. პროგრამა -20.0 ათ, ლარი

უკიდურესად გაჭირვ. ოჯახების სათბობი მასალით დახმ. სპროგრამა- 20,0 ათ, ლარი

ახალშობილთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა- 24,0 ათ, ლარი

გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა- 1.0 ათ, ლარი

სტიქიის შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფა- 180, ათასი ლარი.

უფასო სასადილო- 281,3ათ, ლარი

სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა (საგრანტო პროექტების ხელშეწყობა) -80,0 ათასი ლარი.
გადაუდებელი რეაგირების პროგრამა - 30,0 ათასი ლარი

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარება - 25,0 ათასი ლარი;

არასრულწლოვანთა მხარდაჭერა და **„პოზიტიური მშობლობის“** პროგრამა - 44,0 ათასი ლარი.

პერსონალური ასისტენტის მომსახურება - 100,0 ათასი ლარი.

6) მმართველობა - 6 176,1 ათასი ლარი, მათ შორის:

საკრებულოს დაფინანსება - 1 323,8 ათასი ლარი;

მერია - 4 522,3 ათასი ლარი;

კადრების მომზადება გადამზადებასთან დაკავშირებული ხარჯები - 30,0 ათასი ლარი;

სარეზერვო ფონდი - 120,0 ათასი ლარი;

სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის დასაფარავის თანხა და ვალის მომსახურება 75,0 ლარი.

წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა - 100,0 ათ. ლარი.

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება: (ათას ლარებში)

,programuli kodi	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2025 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები
	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	20 282,6	298,4	19 984,2
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულება**	**6 176,1**	**0,0**	**6 176,1**
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	5 876,1	0,0	5 876,1
01 01 01	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1 323,8	0,0	1 323,8
01 01 02	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია	4 522,3	0,0	4 522,3
01 01 04	კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	30,0	0,0	30,0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	300,0	0,0	300,0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	120,0	0,0	120,0
01 02 02	წინაპერიოდში წარმოქმნილი და ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინასური უზრუნველყოფა	100,0	0,0	100,0
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	75,0	0,0	75,0
01 02 04	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	5,0	0,0	5,0
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**2 312,4**	**0,0**	**2 312,4**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1 250,0	0,0	1 250,0
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	700,0	0,0	700,0
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	250,0	0,0	250,0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	40,0	0,0	40,0
02 01 04	ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია	100,0	0,0	100,0
02 01 05	მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	160,0	0,0	160,0
02 02	წყლის სისტემის განვითარება	230,0	0,0	230,0
02 02 01	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	200,0	0,0	200,0
02 02 02	კანალიზაციის სისტემების განვითარება (სანიაღვრე არხების მოწყობა)	30,0	0,0	30,0
02 03	გარე განათება	402,0	0,0	402,0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	402,0	0,0	402,0
02 04	მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია	100,0	0,0	100,0
02 05	კეთილმოწყობა	130,0	0,0	130,0
02 05 02	სასაფლაოების მოვლა, შემოღობვა	0,0	0,0	0,0
02 05 03	კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	130,0	0,0	130,0
02 09	სოფლის მხარდამჭერი პროგრამა	200,4	0,0	200,4
02 10	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა	0,0	0,0	0,0
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**2 221,9**	**0,0**	**2221,9**

,programuli kodi	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2025 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1 941,4	0,0	1 941,4
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	265,5	0,0	265,5
03 03	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	15,0	0,0	15,0
04 00	**განათლება**	**3 524,9**	**0,0**	**3 524,9**
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	3 120,0	0,0	3 120,0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	5,0	0,0	5,0
04 05	ზოგადი განათლების ხელშეწყობა (ინტერნატი)	141,9		141,9
04 06	სკოლისგარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი)	258,0	0,0	258,0
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**2 998,1**	**0,0**	**2 998,1**
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1 070,0	0,0	1 070,0
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	20,0	0,0	20,0
05 01 02	სპორტის ხელშეწყობა	800,0	0,0	800,0
05 01 03	სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	250,0	0,0	250,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1 713,1	0,0	1 713,1
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1 690,1	0,0	1 690,1
05 02 01 01	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	253,8	0,0	253,8
05 02 01 02	კულტურისა და ხელოვნების და შიდა ტურიზმის ხელშეწყობა	1 408,6	0,0	1 408,6
05 02 01 03	ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამა	27,7	0,0	27,7
05 02 02	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	23,0	0,0	23,0
05 03	მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა	105,0	0,0	105,0
05 02 03	კულტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით აღჭურვა	0,0	0,0	0,0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	80,0	0,0	80,0
05 05	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	30,0	0,0	30,0
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**3 049,2**	**298,4**	**2 750,8**
06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	288,9	178,4	110,5
06 02	ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	0,0	0,0	0,0
06 03	**სოციალური დაცვა**	**2 760,3**	**120,0**	**2 640,3**
06 03 01	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება	500,0	0,0	500,0
06 03 03	შშმ პირთა დახმარება	90,0	0,0	90,0
06 03 04	ერთჯერადი ფინანსური დახმარება	1 000,0	0,0	1 000,0
06 03 05	ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება	43,0	0,0	43,0
06 03 06	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	45,0	0,0	45,0
06 03 07	მარტოხელა მშობლების დახმარება	24,0	0,0	24,0
06 03 08	მარჩენალდაკარგულ და რეინტეგრირებულ პირთა დახმარება	60,0	0,0	60,0
06 03 09	ყოველთვიური დახმარება	80,0	0,0	80,0
06 03 10	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება	9,0	0,0	9,0
06 03 11	ხანდაზმულთა დახმარება	4,0	0,0	4,0
06 03 12	სადღესასწაულო დღეების დახმარება	100,0	0,0	100,0
06 03 13	სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება	20,0	0,0	20,0
06 03 14	უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სათბობი მასალით დახმარება	20,0	0,0	20,0
06 03 15	ახალშობილთა ოჯახების დახმარება	24,0	0,0	24,0
06 03 16	გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა	1,0	1,0	0,0
06 03 17	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფა	180,0	0,0	180,0
06 03 18	უფასო სასადილო	281,3	0,0	281,3
06 03 19	სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და საგრანტო პროექტების ხელშეწყობა	80,0	0,0	80,0
06 03 20	გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამა	30,0	0,0	30,0
06 03 21	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარება	25,0	0,0	25,0
06 03 22	არასრულწლოვანთა მხარდაჭერა და **„პოზიტიური მშობლობის“** პროგრამა	44,0	19,0	25,0
06 03 23	პერსონალური ასისტენტის მომსახურება	100,0	100,0	0,0

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- *საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 6 124.1 ათასი ლარი;*
- *ეკონომიკური საქმიანობა - 1 450.4 ათასი ლარი;*
- *გარემოს დაცვა - 2 221,9 ათასი ლარი;*
- *საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 862,0 ათასი ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა - 288.9 ათასი ლარი;*
- *დასვენება, კულტურა, სპორტი - 2998,1 ათასი ლარი;*
- *განათლება - 3 524,9 ათასი ლარი;*
- *სოციალური დაცვა - 2 760.3 ათასი ლარი;*

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის დანართი (2025-2028 წლები)
2. ინფორმაცია 2024 წლის 9 თვის შესრულების შესახებ;
3. ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ; (პროგრამული ბიუჯეტის დანართი)
4. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;

5. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;
6. ინფორმაცია ბიუჯეტით გათვალისწინებული „სხვა ხარჯები“-ს მუხლით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

ბ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

წლიური ბიუჯეტის პროექტი არ ანიჭებს ან ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

გ) დადგენილების ავტორი

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

დ) დადგენილების ინიციატორი

მუნიციპალიტეტის მერი